დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის N9 სხდომის გადაწყვეტილებით, ცვლილებები შესულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 1 აპრილის N3 სხდომის, 2023 წლის 27 აპრილის N 1 სხდომისა და 2025 წლის 27 ივნისის N3 სხდომის გადაწყვეტილებით

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1. ეს დებულება არეგულირებს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) არჩევნების ჩატარების წესს, საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებას და საქმიანობის წესს.

2. უნივერსიტეტში არჩევნები ტარდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით.

3. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეებში მოიაზრება სამუშაო დღეები.

4. უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი.

თავი II

საარჩევნო კომისიები

მუხლი 2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებს და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს რექტორი. კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების წარმომადგენელი.

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით და ეს გადაწყვეტილებები გააფორმოს შესაბამისი ოქმით.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. იღებს უნივერსიტეტის კანცელარიის მიერ რეგისტრაციაში გატარებულ, საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. ამომრჩეველთა რეგისტრაციაში გატარების უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის ყველა წევრს.

5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შესაძლებელია იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას.

6. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებს ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

თავი III

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები

მუხლი 3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებიდან - ფაკულტეტებიდან/სკოლიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტებიდან ყოველ 30 აკადემიურ პერსონალზე აირჩევა ერთი წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა ნაკლებია 30-ზე, წარმომადგენლობით საბჭოში აირჩევა არანაკლებ 2 წევრი.

4. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

5. წარმომადგენლობით საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტები აირჩევიან ფაკულტეტებზე/სკოლაში სტუდენტთა და აკადემიური პროგრამების რაოდენობის პროპორციულად, თუმცა არანაკლებ ერთი ფაკულტეტიდან 1 სტუდენტისა.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) დირექტორი.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

8. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა ოთხი წელია.

9. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით.

მუხლი 4. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი, გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტებისა. სტუდენტს, რომელსაც სურვილი აქვს, რომ იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, არ უნდა იყოს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრი და უნდა ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, საუნივერსიტეტო რეიტინგის მიხედვით არანაკლებ 91 ქულისა.

3. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი.

4. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლის ასარჩევ კანდიდატებს არეგისტრირებს უნივერსიტეტის კანცელარია და გადასცემს განაცხადებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

5. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია, მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი შეავსოს არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

6. რეგისტრაციის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან წევრობის კანდიდატთა არჩევნები.

7. საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარებიდან 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერისა და მდივნის არჩევნები

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი შემადგენლობიდან. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადას.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერობის კანდიდატი/კანდიდატები წარმომადგენლობით საბჭოს მიმართავენ და აყენებენ თავის კანდიდატურას წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე; წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა შესაძლოა დასახელდეს საბჭოს სხვა წევრის მიერ, ასეთ კანდიდატს კენჭი ეყრება მისივე თანხმობის შემთხვევაში. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ორი დღის ვადაში საუკეთესო შედეგების მქონე პრეტენდენტებს შორის გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, 5 სამუშაო დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა და სპიკერის შერჩევის პროცედურა იმართება ხელახლა. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

3. წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანს, რომლის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადას.

თავი IV

აკადემიური საბჭოს არჩევნები

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტიდან/სკოლიდან ორი წარმომადგენლით. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტებიდან/სკოლიდან ირჩევენ ფაკულტეტების/სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. აკადემიური საბჭოს წევრი აირჩევა 4 წლის ვადით.

4. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის/სკოლის წარმომადგენლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემ თხვევაში, აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა წარმომადგენელი შესაბამისი ფაკულტეტიდან, რისთვისაც ტარდება ახალი არჩევნები ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 7. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან/სკოლიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევნების გამოცხადება

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან/სკოლიდან წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატის განაცხადს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე არეგისტრირებს უნივერსიტეტის კანცელარია. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია, მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

3. რეგისტრაციის დამთავრებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში იმართება აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან/სკოლიდან წევრობის კანდიდატთა არჩევნები.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარება და უფლებამოსილების ცნობა

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის/სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს და ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

2. არჩევნების ჩატარების ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

3. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარებიდან 24 საათის განმავლობაში.

4. აკადემიური საბჭო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ცნობს თავის უფლებამოსილებას.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს მდივანი

აკადემიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის ინიცირებით, ღია კენჭისყრით ირჩევს აკადემიური საბჭოს მდივანს, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს ოქმების შედგენაზე.

თავი V

რექტორის არჩევნები

მუხლი 10. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. რექტორის არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ ერთი კვირისა. არჩევნები ტარდება აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

3. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და რექტორობის კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტში ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. განცხადებაში უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა, კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და რექტორის არჩევნების ჩატარების თარიღი.

მუხლი 11. რექტორის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება

1. რექტორობის კანდიდატების განაცხადს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე არეგისტრირებს უნივერსიტეტის კანცელარია.

2. რეგისტრაციის დროს კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი და სამოქმედო გეგმა, ასევე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლოა განისაზღვროს სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 12. რექტორის არჩევნები

1. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში იმართება რექტორის არჩევნები.

2. კანდიდატები რექტორის არჩევნების ჩატარებამდე აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ სამოქმედო გეგმას. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

3. რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორის არჩევნების ჩატარებასა და კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

4. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

5. რექტორის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

6. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის თანამდებობის დაკავება ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.

თავი VI

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები

მუხლი 13. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურების შერჩევის შესახებ განცხადებას რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე აქვეყნებს აკადემიური საბჭო, რომელშიც აღინიშნება, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი. კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს აქტით.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადება უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატების რეგისტრაციის შეწყვეტამდე განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტში ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. განცხადებაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა, კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების ჩატარების თარიღი.

4. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 5 სამუშაო დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზის თაობაზე შეტყობინებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს ხარვეზი.

5. აკადემიური საბჭო შემოსულ განცხადებებს განიხილავს რეგისტრაციის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობა კანდიდატურებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

6. აკადემიური საბჭოს უარი კანდიდატურის წარმომადგენლობით საბჭოში წარდგენის შესახებ უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

მუხლი 14. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატების განაცხადებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე არეგისტრირებს უნივერსიტეტის კანცელარია, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 15. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევა

1. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატურის წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევა ხდება წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ერთობლივად.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინოს ახალი ან იგივე კანდიდატურა.

3. ერთი და იგივე პირი აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო ამ დებულებით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურის დაცვით კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ახალ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი.

თავი VII

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელების არჩევა

მუხლი 16. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

2. განცხადება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას და იმ კრიტერიუმებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატურა. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი აქტით.

3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე კანდიდატი რეგისტრაციას გადის უნივერსიტეტის კანცელარიაში განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. გადაწყვეტილებაში რეგისტრაციაზე უარის შესახებ მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ორი დღის ვადაში.

4. განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში აკადემიური საბჭო შეარჩევს კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

5. წარმომადგენლობითი საბჭო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის წარდგენიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს კანდიდატურას ან დასაბუთებულ უარს აცხადებს მის დამტკიცებაზე.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო აცხადებს ხელახალ კონკურსს და ახლა შერჩეულ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, რომელიც არ შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დაუმტკიცებელი კანდიდატურა.

7. კანდიდატურის შერჩევის განმეორებით კონკურსის გამოცხადებისას გამოიყენება ამ მუხლით დადგენილი ვადები და პირობები.

8. წარმომადგენლობითი საბჭო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას ამტკიცებს ღია კენჭისყრით. შედეგები ცხადდება კენჭისყრის ჩატარებიდან 24 საათის განმავლობაში.

9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

10. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 17. ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო განსაზღვრავს ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს და აცხადებს არჩევნებს.

2. შემოსულ განცხადებებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წარუდგენს შერჩეულ კანდიდატურას/კანდიდატურებს.

3. ფაკულტეტს/სკოლას შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.

4. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო კანდიდატის/კანდიდატების წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს,რაც ფორმდება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

5. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ კანდიდატის აურჩევლობის შემთხვევაში, ფაკულტეტის/სკოლის საბჭო აცხადებს განმეორებით არჩევნებს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

6. ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

7. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

თავი VIII

ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს არჩევის წესი

მუხლი 18. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრთა არჩევნების გამოცხადება

1. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს არჩევითობის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით აცხადებს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს არჩევნებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის/სკოლის საბჭო არის არჩევითი, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

ა) აკადემიური პერსონალი შემდეგი წესის დაცვით:

ა.ა) ფაკულტეტიდან/სკოლიდან, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30 და 30-ზე ნაკლები, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში შედის აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი.

ა.ბ) ფაკულტეტიდან/სკოლიდან, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30-დან და 120-ის ჩათვლით, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 2 წარმომადგენელი.

ა.გ) ფაკულტეტიდან/სკოლიდან, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 120-ზე მეტი, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 1 წარმომადგენელი.

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან არჩეული თითო წარმომადგენელი;

გ) სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

3. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის/სკოლის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

4. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს წევრობის კანდიდატის განაცხადი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე რეგისტრირდება უნივერსიტეტის კანცელარიაში.

5. რეგისტრაციის დამთავრებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში იმართება ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში ფაკულტეტებიდან/სკოლიდან წევრობის კანდიდატთა არჩევნები.

6. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს არჩევნებს ატარებს და შედეგებს არჩევნების დღის ბოლოს აცხადებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

თავი IX

ფაკულტეტის/სკოლის დეკანის არჩევის წესი

მუხლი 19. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის არჩევნების გამოცხადება

1. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის კანდიდატურების შერჩევის შესახებ განცხადებას აქვეყნებს ფაკულტეტის/სკოლის საბჭო. განცხადებაში ასევე აღინიშნება რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და დეკანის არჩევნების ჩატარების თარიღი.

2. განცხადება თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის/სკოლის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

4. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 1 კვირისა. არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში.

მუხლი 20. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება

1. ფაკულტეტის/სკოლის დეკანობის კანდიდატის განაცხადი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე რეგისტრირდება უნივერსიტეტის კანცელარიაში, სადაც კანდიდატი წარმოადგენს ავტობიოგრაფიასა და ფაკულტეტის/სკოლის განვითარების კონცეფციას. ასევე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლოა განისაზღვროს სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება, თუ რა ხარვეზს შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 21. ფაკულტეტის/სკოლის დეკანის არჩევა

1. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო დეკანს ირჩევს ოთხი წლის ვადით.

2. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის/სკოლის დეკანს. კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

4. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

მუხლი 22. ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევა

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) ხელმძღვანელს ირჩევს აკადემიური საბჭო.

2. აკადემიური საბჭოს მიერ ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) ხელმძღვანელის არჩევა ხდება ღია კენჭისყრით, 4 წლის ვადით.

თავი X

არჩევნების ორგანიზება და ჩატარების წესი

მუხლი 23. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს , ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია.

2. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

3. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატებს, ფაკულტეტის/სკოლის ამომრჩევლებს უფლება აქვთ, გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.

4. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

5. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.

6. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.

7. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება ლექცია/სემინარებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან

რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს დაწესებულებაში ან ზიანს აყენებს დაწესებულების ქონებას.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს, დაუსაბუთებელი უარი უთხრას კანდიდატს წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და უნივერსიტეტის სხვა ქონებით სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული უარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის, მისი გასაჩივრება უნდა მოხდეს მიღებიდან ორი დღის ვადაში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 24. საარჩევნო სიები

1. აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიას საარჩევნო კომისიას აწვდის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ეს სია შეთანხმებულია შესაბამის ფაკულტეტთან/სკოლასთან. სტუდენტთა საარჩევნო სია კი საარჩევნო კომისიას მიეწოდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ.

2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა საარჩევნო სიები დგება ცალ-ცალკე.

3. უნივერსიტეტის სტუდენტთა ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის/სკოლის ყველა სტუდენტი, გარდა სტატუსშეჩერებული სტუდენტისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ირიცხება ერთდროულად უნივერსიტეტის ერთზე მეტ ფაკულტეტზე/სკოლაში, ის შეიყვანება იმ ფაკულტეტის/სკოლის სიაში, სადაც სწავლობს Major პროგრამაზე.

5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის/სკოლის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

6. ფაკულტეტის/სკოლის საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩევლის სახელი და გვარი;

ბ.ა) სტუდენტის პირადობის მოწმობის ნომერი (სტუდენტი ამომრჩევლისათვის);

ბ.ბ) აკადემიური პერსონალის პირადი ნომერი.

7. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის/სკოლის საარჩევნო სიაში ან იმავე ფაკულტეტის/სკოლის საარჩევნო სიაში შეტანა.

მუხლი 25. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ცალ-ცალკე. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) დაწესებულებისა და შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის სახელწოდება;

ბ) აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი;

გ) აღნიშვნა იმის შესახებ, საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილია აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტთათვის;

დ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.

3. დაუშვებელია პირზე ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის გაცემა, ასევე აკადემიურ პერსონალზე სტუდენტის საარჩევნო ბიულეტენის გაცემა ან პირიქით.

4. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

5. საარჩევნო ბიულეტენზე აუცილებელია იყოს კომისიის თავმჯდომარისა ან კომისიის წევრის ხელმოწერა.

მუხლი 26. საარჩევნო ყუთი

1. უნივერსიტეტი არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით საარჩევნო კომისიის აღჭურვას. საარჩევნო კომისიას გადაეცემა საარჩევნო ყუთი. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა იგი.

2. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

3. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარადდა მათზე აღინიშნება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

4. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

5. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 27. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნები ტარდება რექტორის/შესაბამისი კოლეგიური ორგანოს მიერ დანიშნულ დღეს.

2. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

3. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი/სკოლა უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

მუხლი 28. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ფაკულტეტის/სკოლის ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამომრჩეველთა სიის შესაბამის გრაფაში ხელს აწერს ასევე კომისიის თავმჯდომარე ან წევრი.

2. ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერის შემდეგ ამომრჩეველი მიდის კომისიის თავმჯდომარესთან ან წევრთან, რომელიც ხელს აწერს საარჩევნო ბიულეტენს და იღებს ბიულეტენს.

3. ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი ფარულად შემოხაზავს მისთვის სასურველ 1 კანდიდატურას, აგდებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან.

4. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა.

მუხლი 29. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

2. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

3. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურა;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ე) მასზე არ არის მითითებული იმ ფაკულტეტის/სკოლის სახელწოდება, რომელზეც ტარდება არჩევნები.

5. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის,რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ფაკულტეტის/სკოლის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენებისრაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

6. ფაკულტეტიდან/სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კანდიდატი, რამდენიც დადგენილია საარჩევნო დებულებით.

მუხლი 30. დამკვირვებელი

1. დაწესებულებაში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოში ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული თანამდებობის პირი;

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მიერ ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;

გ) წარადგინოს საჩივარი დაწესებულების საარჩევნო კომისიაში.

6. დამკვირვებელი ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

7. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 31. დარღვევის ოქმი

1. არჩევნების დღეს ამ დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:
ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.
ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;
ვ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;
ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 32. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს ან მაქსიმუმ 24 საათში.

თავი XI

არჩევნების პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 33. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ამომრჩეველს უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით დაწესებულების საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის/სკოლის საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. დაწესებულების საარჩევნო კომისია ვალდებულია, საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას დაწესებულების საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დადგენილი წესის ან/და ფაკულტეტის/სკოლის საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 34. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. დაწესებულების საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს საჯაროდ. თავი XII საარჩევნო კომისიის საქმიანობის ფორმები

მუხლი 35. საარჩევნო კომისიის აქტები

1. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.